ხელშეკრულება №31
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №359/01/35
№71-220311-02

ქ. თბილისი "22" მარტი 2011 წელი

ერთი მხრივ, 1. სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ჩახნაშვილის სახით; 2. სსიპ – სკოლის მანდატურის სამსახური, წარმოდგენილი სამსახურის უფროსის ზვიად ხიდიშელის სახით; 3. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის დავით კერესელიძის სახით და 4. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის სულხან სისაურის სახით (შემდეგ - „შემსყიდველი") **და მეორეს მხრივ,** შპს **„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"** (შემდეგ – „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ფინანსურ საკითხებში, ალექსანდრე საკანდელიძის მიერ, რომელიც მოქმედებს შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" გენერალური დირექტორის – ზურაბ ჯანჯღავას მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 8 თებერვლის №261 განკარგულების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი (ობიექტი)

1.1. ხელშეკრულების საგანია ქ. თბილისში, ალექსიძის ქ. №1-ში მდებარე შენობამდე გაზსადენის მიყვანის და შენობაში გაზსადენის გაყვანის პროექტის შედგენის მომსახურების შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია ქ. თბილისში, ალექსიძის ქ. №1-ში მდებარე შენობამდე გაზსადენის მიყვანის და შენობაში გაზსადენის გაყვანის პროექტის შედგენის მომსახურება.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

2.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და მოქმედი სტანდარტების და არსებული ნორმების შესაბამისად, „მიმწოდებელი" დანართ №1-ში მოცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად უზრუნველყოფს ქ. თბილისში, ალექსიძის ქ. №1-ში მდებარე შენობამდე გაზსადენის მიყვანის და შენობაში გაზსადენის გაყვანის პროექტის შედგენას და გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს „შემსყიდველის" მოთხოვნებს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში.

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **2832.00** (ორიათას რვაას ოცდათორმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2011 წლის 25 მარტის ჩათვლით.

4.2 მომსახურების გაწევის ადგილი ქ. თბილისი.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2. „შემსყიდველის“ მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ:

1. სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს სამშენებლო სამსახურის თანამშრომელი თენგიზ გუდაძე.
2. სსიპ – სკოლის მანდატურის სამსახურის საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი ზურაბ მარკოზაშვილი.
3. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციის უფროსი ნოდარ ხარაზიშვილი.
4. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ტექნიკური მენეჯერი დავით ხვედელიძე.

6. შესყიდის ობიექტის მიღება-ჩაბარება

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით;

6.2. „შემსყიდველის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში მითითებული პირები.

7. ანგარიშსწორება

7.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

7.2 „მომსახურების“ ღირებულების ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებელის მიერ მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან არაუგვიანეს 20 დღეში.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება თანადაფინანსების პრინციპით და შესაბამისად ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა ყველა სამსახურზე განისაზღვრება თანაბრად, ხელშეკრულების საერთო ღირებულების გათვალისწინებით. კერძოდ:

1. სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო – 708.00 (შვიდას რვა ლარი და 00 თეთრი) ლარი.
2. სსიპ – სკოლის მანდატურის სამსახური – 708.00 (შვიდას რვა ლარი და 00 თეთრი) ლარი.
3. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი – 708.00 (შვიდას რვა ლარი და 00 თეთრი) ლარი.
4. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი – 708.00 (შვიდას რვა ლარი და 00 თეთრი) არი.

7.4 ანაზღაურების ადგილი – ქ. თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.2 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

8.3 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
- აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
- მოახდინოს „მომსახურების“ ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.4 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული გონივრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

9.5 “მომსახურების” გაწევის დაყოვნების შემთხვევაში “მიმწოდებელი” ვალდებულია გადაუხადოს “შემსყიდველს” პირგასამტეხლო ყოველ ვადაგაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.6. “შემსყიდველის” მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელს“ უფლება აქვს დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

9.7. ზიანის ანაზღაურება და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების

შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.
10.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 01 მაისის ჩათვლით და/ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.
11.2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1 „შემსყიდველი" უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
12.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.
12.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში მითითებული პირ(ებ)ი.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

13.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და თითო პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება/დანართი/დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
14.6. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა ნაწილების ნამდვილობაზე.
14.7. მხარეთა მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი ცვლილება/დანართი/დამატება წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15. მხარეთა ხელმოწერები

<u>შემსყიდველი:</u>

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
მის: ქ. თბილისი
მდ. უზნაძის ქ. 68
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი 220101222
ა/ა 200122900
ს/კოდი: 202294980

სსიპ სკოლის მანდატურის სამსახური
მის: ქ. თბილისი
მ. ალექსიძის ქ. №1
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი 220101222
ა/ა 200122900
ს/კოდი: 205296650

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი

გიორგი ჩახნაშვილი

სსიპ სკოლის მანდატურის სამსახურის უფროსი

ზვიად ხიდიშელი

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
მის: ქ. თბილისი
მ. ალექსიძის ქ. №1
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი 220101222
ა/ა 200122900
ს/კოდი: 202330566

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
მის: ქ. თბილისი
დ. უზნაძის ქ. 68
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი 220101222
ა/ა 200122900
ს/კოდი: 204578064

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის
გენერალური დირექტორი

დავით კერესელიძე

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი

ხულხან სიხარული

მიმწოდებელი:

შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21 ტელ: (+995 32) 24 40 40 ს/კ 206237491 „საქართველოს ბანკი“ ბ/კ **BAGAGE22** ა/ა 145770000

შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“
დირექტორი ფინანსურ საკითხებში

ალექსანდრე საკანდელიძე